

„დრამერი მხოლოდ ვარსკვლავებისათვის“ თიბისი გალერეაში!

სონი ემორის მასტერკლასი ქართველი მუსიკოსებისთვის

26 ოქტომბერს, 18:00 საათზე, თიბისი გალერეაში (მარჯანიშვილის #7) თბილისის ჯაზ ფესტივალის გენერალური სპონსორი თიბისი სტატუსი, სპეციალურად ქართველი მუსიკოსებისთვის, აწყობს ფესტივალის მონაწილის, გრემის მფლობელი ვირტუოზი დრამერის, **სონი ემორის** ექსკლუზიურ მასტერკლასს.

პირველად ქართველ ჯაზ-შემსრულებლებს, საშუალება მიეცემათ გაეცნონ მსოფლიო ჯაზის ვარსკვლავის, სონი ემორის შესრულების ტექნიკას, უკეთ დაეუფლონ დასარტყამ ინსტრუმენტს და მიიღონ რჩევები უმაღლესი კლასის მუსიკოსისგან.

სონი ემორი ცნობილია, როგორც “დრამერი მხოლოდ ვარსკვლავებისათვის”. იგი 20-წლიანი მუსიკალური კარიერის განმავლობაში უკრავდა ისეთ ლეგენდარულ მუსიკოსებთან და ჯგუფებთან როგორებიც არიან: Earth, Wind and Fire, Joe Sample (ჯო სემპლი), The Crusaders, Bette Midler (ბეტ მიდლერი), Jennifer Lopez (ჯენიფერ ლოპესი), Steely Dan (სტილი დანი), Stanley Clarke (სტენლი კლარკი), David Sanborn (დევიდ სენბორნი), Al Jarreau (ელ ჯერო) ...

სონი ემორის ყველაზე ცნობილ ალბომებს შორისაა გრემის გამარჯვებული „**Two Against Nature**“, ასევე „**B52s' Cosmic Thing**“ და სხვები. იგი ასევე აქტიურად მუშაობს კინომუსიკაზე.

გარდა ბრწყინვალე მუსიკალური კარიერისა, სონი ემორი აქტიურად ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას, ატარებს პროფესიულ მასტერკლასებს როგორც აკადემიურ წრეებში, ისე ინდივიდუალურად, მონაწილეობას იღებს საერთაშორისო მუსიკალურ კონფერენციებში.

სონი ემორის მასტერკლასებზე დასწრება საკმაოდ მაღალი ძვირადღირებული სიამოვნებაა უცხოეთში. თიბისი გალერეაში, ქართველი დრამერების და ჯაზ-შემსრულებლებისთვის გამართულ მასტერკლასს „თიბისის სტატუსი“ აფინანსებს.

სონი ემორი თბილისის ჯაზ-ფესტივალზე 27 ოქტომბერს, პროექტით –“Cachet Fusion” წარსდგება. ეს არის მისივე შექმნილი ხუთ-წევრიანი ჯგუფი, რომელიც ჯაზ-ფესტივალის სტუმრებს თბილისის ივენთ ჰოლში ენერგიულ ფანკ-როკ საღამოს ჰპირდება.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა;
- ◆ ლიდერი დეპოზიტების ბაზარზე
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ კო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების “მომსახურება ბარიერების გარეშე” ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ფლობს წამყვან პოზიციებს სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B + and B
- ◆ Moody's: B1 and Ba 3